ხელშეკრულება № 98-ბ/15

დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი ;

ქ. თბილისი 22 ოქტომბერი 2015წ.

1. ხელშეკრულების მხარეების ზუსტი დასახელება და ხელშეკრულების დადების საფუძველი

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 11 თებერვლის N173 განკარგულების ფარგლებში, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მესამე პუნქტის "თ" ქვეპუნქტის თანახმად და შპს „საქართველოს მელიორაციის" მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA150022317) სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნით საგარანტიო ფასიანი მომსახურების (100000კმ-ზე) ღირებულების (დანართი N1) საფუძველზე, ერთის მხრივ (შემდგომში **შემსყიდველი**) შპს „საქართველოს მელიორაცია" (მისამართი: ქ. თბილისი, მარსალ გელოვანის გამზირი №6) მისი გენერალური დირექტორის ლევან დვალის სახით და მეორეს მხრივ (შემდგომში **მიმწოდებელი/შემსრულებელი**) შპს „ჯი-თი მოტორსი" (იურ. მისამართი: ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. #48ბ, ფაქტ. მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივნის მე-12 კმ.) გენ. დირექტორის თემურ უსტიაშვილის სახით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების (CPV 50100000) შესყიდვა, კერძოდ 7 (შვიდი) ერთეული ავტომანქანა FORD FISETA ტექნიკური მომსახურება. (იხ.დანართი N1).

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება განისაზღვრება 31763.41 (ოცდათერთმეტი ათას შვიდასსამოცდასამი ლარი და 41 თეთრი) ლარით.

4. მომსახურების გაწევის ეტაპობრივი ვადები და ადგილი

4.1. შემსრულებელი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების გაწევა 2015 წლის 22 ოქტომბრიდან 2015 წლის 31 დეკემბრამდე, შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი მე–12 კილომეტრი.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 გასაწევი მომსახურება ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.2 გასაწევი მომსახურების (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს შემსრულებელი.

5.3 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს შემსრულებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული გაწეული მომსახურების წუნდების მიზეზების მითითებით.

5.4. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტებს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს ხელს მოაწერს შპს „საქართველოს მელიორაციის" ადმინისტრაციული სამსახურის ტრანსპორტის ჯგუფის სპეციალისტი გიორგი ამზიანი.

6. ხარისხი და გარანტია

6.1. გაწეული მომსახურება უნდა იყოს მაღალი ხარისხის და შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

7. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი და ვადები

7.1 ანგარიშწორება მოხდება უნაღდო ანგარიშწორების წესით.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს თანხის გადარიცხვა, ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში გაწეული მომსახურების საერთო ღირებულების შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსრულებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს მის მიერ გასაწევი მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
8.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ გაკეთებული განაცხადის წარდგენიდან ერთ სამუშაო დღეში შეასრულოს დანართი N1-ით გათვალისწინებული მომსახურება.
8.3. მიმწოდებელი ვალდებულია მუდმივად იქონიოს დანართი N1-ით გათვალისწინებული საქონელის მარაგი საწყობში, (გარდა გამონაკლისებისა, რომელიც გამოწვეულია სატაო მწარმოებლისაგან და/ან გადამზიდავი კომპანიისაგან შეფერხებით) და დროულად გაუწიოს აღნიშნული მომსახურება შემსყიდველის ტექნიკის გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად.
8.4. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს შემსრულებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფასური ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

9.1 შემსყიდველი უფლებამოსილია გასაწევი მომსახურების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე დროულად გაუწეველი მომსახურების ღირებულების 0.5%-ის ოდენობით.
9.2 გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელი უფლებამოსილია დააკისროს შემსყიდველს პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გადაუხდელი თანხის 0.5%-ის ოდენობით.
9.3 იმ შემთხვევაში თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველს ან მიმწოდებელს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულება.
9.4 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არშესრულება განიხილება, როგორც ხელშეკრულების მოშლის საფუძველი.
9.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა. თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით (გარდა საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებისას) გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2015 წლის 22 ოქტომბრიდან 2016 წლის 31 იანვრამდე.

12. დავების გადაწყვეტის წესი

12.1 შემსყიდველმა და შემსრულებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების კონტროლი

13.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებისას, განახორციელოს ტექნიკური კონტროლი. კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის წარმომადგენელი, კომპანიის ადმინისტრაციული სამსახურის ტრანსპორტის ჯგუფის უფროსი დავით ტურიაშვილი.

13.2. კონტროლის განმახორციელებელი პირის/პირების ფუნქციებია:

13.2.1. გაუწიოს კონტროლი მომსახურების მოწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.

13.2.2. დაადგინოს შეესაბამება, თუ არა მიწოდებული მომსახურება ხელშეკრულების მოთხოვნებს.

13.2.3 მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება.

13.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.

14. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

14.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილების შეტანის ინიციატორი ვალდებულია გამართოს მოლაპარაკებები მეორე მხარესთან შესაბამისი ინფორმაციის შესახებ ან წერილობით აცნობოს მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ.

14.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

14.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

14.5. მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“

შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია”
საიდენტიფიკაციო კოდი 204524568
მისამართი ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. N6
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE58BG0000000182323100

ლევან დვალი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“

შპს “ჯი-თი მოტორსი“
საიდენტიფიკაციო კოდი 206276340
იურდ. მის: ქ.თბილისი, ჩოლოყაშვილის ქ. #48ბ
ფაქტ. მის: ქ. თბილისი, აღნაშენებლის ხეივანი მე-12 კმ
ს/ს საქართველოს ბანკი
ბანკის კოდი: BAGAGE22
ა/ა: GE89BG0000000247624300

თემურ უსტიაშვილი
გენ. დირექტორი

2015 წლის 22 ოქტომბრის

N98-ბ/15 ხელშეკრულების

დანართი №1

1 (ერთი) ერთეული ავტომანქანის საგარანტიო ტექ. მომსახურეობა

N	დასახელება	საქონლის ერთ. ფასი (ერთი ცალის /ერთი კომპლექტის/ერთი ლიტრის ფასი)	მომსახურების ერთეულის ფასი	გარბენი (კმ) 1000	გარბენი (კმ) 10 000	გარბენი (კმ) 20 000	გარბენი (კმ) 30 000	გარბენი (კმ) 40 000	გარბენი (კმ) 50 000	გარბენი (კმ) 60 000	გარბენი (კმ) 70 000	გარბენი (კმ) 80 000	გარბენი (კმ) 90 000	გარბენი (კმ) 100 000	ჯამი
1	ძრავის ზეთი - 4 ლიტრი (იხ. შენიშვნა 1)	25.00	20.00		120.00	120.00	120.00	120.00	120.00	120.00	120.00	120.00	120.00	120.00	1200.00
2	ზეთის ფილტრი- 1 ცალი	27.53			27.53	27.53	27.53	27.53	27.53	27.53	27.53	27.53	27.53	27.53	275.3
3	ჰაერის ფილტრი - 1 კომპლექტი (იხ. შენიშვნა 2)	90.05	8.00			98.05		98.05		98.05		98.05		98.05	490.25
4	წინა სამუხრუჭე ხუნდი -1 კომპლექტი	328.29	28.00			356.29		356.29		356.29		356.29		356.29	1781.45
5	უკანა სამუხრუჭე ხუნდი - 1 კომპლექტი	208.55	40.00									248.55			248.55
6	კონდიციონერის ფილტრი - 1 ცალი	76.40	12.00			88.4		88.4		88.4		88.4		88.4	442

7	ანთების სანთელი 4(ოთხი) ცალი (იხ. შენიშვნა 3)	70.08	30.00							100.08					100.08
8	ძრავის ღვედი (იხ. შენიშვნა 4)														
	სულ ჯამი														4 537.63

შენიშვნები:

(1)ერთ ჯერზე იცვლება 4 ლიტრი ძრავის ზეთი; (2) ჰაერის ფილტრის კომპლექტში შედის ფილტრის ღრუბელიც; (3) ჯერზე იცვლება 4 ცალი ანთების სანთელი; (4) 100 000 კმ-ზე არ ითვალისწინებს ძრავის ღვედის შეცვლას.

„შემსყიდველი“
შ.პ.ს „საქართველოს მელიორაცია“

ლევან დვალი
გენერალური დირექტორი

„მიმწოდებელი“
შპს "ჯი-თი მოტორსი"

თემურ უსტიაშვილი
გენ. დირექტორი